

მცირე სახელმძღვანელო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობელთათვის

კულტურატაშორისი
საგანმანათლებლო ფონდი

ტექსტის ავტორები:
ევა პიტლაკ,
იოანა კვიატკოვსკა
კონსულტაციები:
მანანა ბურდული
თარჯიმანი:
ირინა სარქისოვა



Przemiany w regionie

პროექტი დაფინანსებულია დემოკრატიული განათლების ფუნდაციის
პროგრამის „გარდაქმნები რეგიონში“- დთ თავისუფლება პოლონურ-
ამერიკული ფუნდაციის მიერ.



Fundacja Edukacji Międzykulturowej

დღევანდელი პუბლიკაცია შემუშავდა 'ინკლუზიური განათლება – 'ნაბიჯ-ნაბიჯ' პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება კულტურათაშორისი საგანმანათლებლო ფონდის მიერ ქალაქ თბილისის 86 საჯარო სკოლის მონაწილეობით. პროექტი მიზნად ისახავდა ქართველი მასწავლებლების და ფსიქოლოგების კომპეტენციის გაძლიერებას, რომლებსაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსს) მქონე ბავშვებთან მუშაობა უწყევთ. ამას გარდა დახმარებას უწყევდა მშობლებს.

ეს სახელმძღვანელო უნდა ემსახუროდეს როგორც მასწავლებლებს, ასევე მშობლებს. იგი მოიცავს კონკრეტული ინფორმაციის მთელ რიგს, რომელიც წინასწარი დიაგნოზის დასმის დროს გამოიყენება, ასევე რჩევებს სსს მქონე ბავშვებთან მუშაობის გასაადვილებლად.

სახელმძღვანელოში თქვენ ნახავთ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: სმენით აღქმაზე, მხედველობით აღქმაზე, ნატიფ და მსხვილ მოტორიკაზე, ასევე აუტიზმზე, ADHD-ჰიპერაქტიურობის ელემენტები). ავტორები გვიჩვენებენ თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება და რა შეიძლება გახდეს დარღვევების და შეზღუდვების მიზეზი. ყველა ნაწილში მოცემულია პრაქტიკული რჩევები მშობელთათვის, თუ რა უნდა გააკეთონ რათა დაეხმარონ ბავშვს, რა ხერხები არსებობს, თამაშები და გასართობი აქტივობები, რომლებიც ეხმარება ასეთ მოსწავლეებს საზოგადოებაში ფუნქციონირებასა და სწავლის პროცესში.

სარჩევი

სმენითი, მხედველობითი და კინესტეტიკურ-სამოდრაო ანალიზატორების ფუნქციონირება მოსწავლის სასკოლო სირთულეებთან მიმართებაში.

სმენის ანალიზატორი და სმენითი აღქმა

მხედველობის ანალიზატორი და მხედველობითი აღქმა

კინესტეტიკურ-სამოდრაო ანალიზატორი. ნატიფი და მსხვილი მოტორიკა.

ბავშვი აუტიზმის სპექტრის დარღვევებით

სმენითი, მხედველობითი და კინესტეტიკურ-სამოდრაო ანალიზატორების ფუნქციონირება მოსწავლის სასკოლო სირთულეებთან მიმართებაში.

წერა და კითხვა ეს ორი ძირითადი შესაძლებლობაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სასკოლო წარმატებებზე. ამ შესაძლებლობების წყალობით ბავშვი იღებს დამატებით ინფორმაციას, საკუთარი აზრების ფორმულირებას ახდენს ქაღალდზე, ეცნობა კულტურის სამყაროს. ეს შესაძლებლობები წარმოადგენენ მომავალი სასკოლო განათლების საფუძველს. მოსწავლე კითხულობს მოკლე ჩანაწერებს, რჩევებს, ხსნის მათემატიკურ ამოცანებს, წერს ესეებს, ტექსტებს და საკონტროლო წერებს. ამ შესაძლებლობების არ არსებობასთან დაკავშირებულია წარუმატებლობები სკოლაში, მოსწავლის თვითშეფასების შემცირება, სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, გაკვეთილების გაცდენა, ასევე, სკოლისადმი ფობიის განვითარება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს უნარჩვევები იქნას დაძლეული და ვითარდებოდნენ ჰარმონიულად.

მათი დაძლევის გარანტიას წარმოადგენს სამი ანალიზატორის გამართული მუშაობა - სმენის, მხედველობის და კინესტეტიკურ-მოდრაობის, რომელთა დახმარებით ვიღებთ იმ გამაღიზიანებლების აღქმას, რომლებსც გარშემო სამყაროდან ვიღებთ მაგ. განვასხვავებთ ხმებს სივრცეში, ვკითხულობთ სიტყვებს, გამოგვყავს ასოები.

სმენითი ანალიზატორი და სმენითი აღქმა

როგორ გვესმის?

ხმების აღქმას ახდენს ჩვენი ყური, ხოლო მათ მიწოდებას – სმენითი გზა (აფერენტული ნერვები), რომლის დახმარებით ხდება ნერვული სიგნალების ტვინში გადაცემა, სადაც ხდება ხმების ანალიზი და სინთეზი, ანუ პროცესი, რომელიც აუცილებელია წერის და კითხვის ათვისების დროს. სმენითი აპარატი მდებარეობს თავის ქალის საფეთქლების არეში, და თუ ამ აპარატს რაიმე დარღვევა აღენიშნება, ან არ არის სრულყოფილად გამართული, ხმების აღქმის პროცესები ფერხდება და ბავშვს ექმნება პრობლემები წერა-კითხვის სწავლის დროს.

რამ უნდა დაგვაეჭვოს? თუ ბავშვი:

- ძალიან უწყევს ხმას მუსიკის მოსმენის, მულტფილმების ყურების დროს,
- გთხოვთ რჩევების, ინფორმაციის, შენიშვნების გამეორებას,
- არ რეაგირებს მისადმი მიმართულ შენიშვნებზე,
- ლაპარაკობს ძალიან ხმამაღლა,
- 'ითიშება' მოსმენის დროს

ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს სმენის დაქვეითებასთან. ამ დროს საჭიროა ბავშვის სპეციალისტთან მიყვანა და აუდიოგრამის ჩატარება.

მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა ბავშვის სმენას მანამდე მიაქციონ ყურადღება, ვიდრე იგი სკოლაში მივა, რათა წინასწარ აღმოიფხვრას ყველა ის სირთულე, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს წერისა და კითხვის შესწავლის დროს რაც დაკავშირებული სმენის დაქვეითებასთან, თუ ასეთი აღმოაჩნდა. საჭიროა, რომ სმენადაქვეითებული ბავშვი ყოველთვის იჯდეს წინა მერხზე, რათა სულ ჰქონდეს საშუალება კარგად მოუსმინოს მასწავლებელს ან სთხოვოს მას გაუმეოროს გამოტოვებული ინფორმაცია.

რა შეუძლია გააკეთოს ასეთ შემთხვევაში მშობელმა?

მეცადინეობას მშობლებთან გართობის და თამაშის ხასიათი უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ სმენის დაქვეითების რთულ ფორმებთან გვაქვს საქმე, უკეთესია ისეთი ვარჯიშების შერჩევა, რომლებიც არ იქნება პირდაპირ მეტყველებასთან დაკავშირებული, არამედ მუშაობას ვიწყებთ გარემოში არსებული ხმებით.

თუ ამ დროს ბავშვს:

- აღენიშნება ჩამორჩენა მეტყველებაში მის ასაკთან შედარებით
 - აქვს შეზღუდული ლექსიკონი
 - აღენიშნება არაგრამატიკული მეტყველება
 - აქვს პრობლემა სწორი სიტყვის შერჩევასთან, ხშირად ამახინჯებს სიტყვებს
 - უჭირს ზეპირად ლექსების და სიმღერების შესწავლა
 - აქვს სირთულეები სიტყვიერი შენიშვნების გაგებასთან
 - აქვს სირთულეები შინაარსის გადმოცემასთან
- ბოლო წერის და კითხვის შესწავლის დაწყებასთან ერთად დამატებით თავს იჩენს:**
- ბგერების ცალკეული გამოთქმა, ბავშვი გამოსცემს ბგერებს, მაგრამ ვერ აერთიანებს მათ ერთ სიტყვაში, შეიძლება დაასახელოს სიტყვა 'ტყე'-ს ყველა ბგერა, მაგრამ ერთად ეს შეიძლება მისთვის არაფერს არ ნიშნავდეს,
 - სიტყვების დამახინჯება, ერთ ნაწილს კითხულობს, მეორე ნაწილის გამოცნობას ცდილობს,
 - ეშლება მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვები (ლორი-ლორი-მორი,)
 - ნელა კითხულობს, დაკარგული აქვს რითმი, რაც აფერხებს შინაარსის გაგებას,
 - წერაში, განსაკუთრებით სმენით კარნახში, კარგავს ასოებს, მარცვლებს, არ წერს სიტყვებს ბოლომდე, აერთიანებს სიტყვებს. მაგ. ძალი და კატა.
- ეს ნიშნავს იმას, რომ ბავშვი საჭიროებს მხარდაჭერას სახლის და სკოლის მხრიდან, რათა მოხდეს სმენითი დაქვეითების გამართვა ან აღმოფხვრა.**

გასართობი მეცადინეობები ხმების გამოყენებით:

- ხმების გამოცნობა – ბუნებრივი ხმები, ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ყოველდღიური აქტივობების ხმების ამოცნობა; კომპიუტერზე ბეჭდის, შხაპის მიღების, კბილების გახეხვის. ბავშვი დგას დახუჭული თვალებით მშვიდ გარემოში და ცდილობს რაც შეიძლება მეტი ხმა ამოიცნოს და განასხვავოს. ვარჯიშების ჩატარება შესაძლებელია როგორც სახლის პირობებში, ასევე გარეთ, ბუნებრივი ხმების გამოყენებით ან ხელოვნურად მათი შექმნით.
- ხმების გამომცემი წყაროების დასახელება – რომელი საგანი გამოსცემს ამ ხმას? სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანადგარების თუ ტექნიკის ამუშავება, ჩართვა, ამ დროს ბავშვმა, რომელიც ვერ ხედავს მოცემულ საგანს უნდა დაასახელოს კონკრეტულად თუ რა არის ჩართული. შესაძლებელია სხვადასხვა ნივთების გამოყენება ხმების გამოსაცემად, ჯერ ვასმენინებთ, მერე კი ვთხოვთ რომ გამოიცნოს თუ რა ნივთი გავახმოვანეთ.
- ხმების მდებარეობა – საიდან მოდის კონკრეტული ხმა მაგ. იმ ნივთის მოძებნა რომელიც ხმას გამოსცემს – მობილური ტელეფონის, ბიპერის. ხმათა თანმიმდევრობის დამახსოვრება. ბავშვი ახვეული თვალებით ისმენს რამდენიმე ხმას და ცდილობს დაასახელოს მათი თანმიმდევრულობა. თავიდან ვიწყებთ ორი ხმის გამოყენებით, მერე ვამატებთ. უმჯობესია სამს არ გადავაჭარბოთ.
- ხმების ხასიათის დასახელება: მაღალი-დაბალი, ხანგრძლივი-მოკლე, ერთჯერადი-მრავალჯერადი, ხმამაღალი-ჩუმი.
- ხმათა თანმიმდევრობის გამეორება. მშობელი ახორციელებს ხმათა თანმიმდევრულობას, მაგ. ჩაის კოვზს ჯერ ურტყავს მაგიდას, მერე ჭიქას, ხოლო მერე ლამბაქს, ბავშვის დავალებაა გაიმეოროს ეს ყველაფერი იგივე ქრონოლოგიით.

თამაში სიტყვებით:

- სიტყვიდან ბგერების გამოყოფა: სიტყვის დასაწყისში, შუაში ან ბოლოში (საჭირო იქნება ქართული მაგალითების მოყვანა) ბატი – ჯერ გამოყოს თანხმოვნები – „ბ“ „ტ“ შემდეგ ხოვნები „ა“ „ი“

თამაში 'რამე ჩვენს გარშემო რაც „ტ“ ასოზე იწყება'. ბავშვის დავალებაა მის გარემოცვაში მოიძიოს და დაასახელოს სიტყვები რომელიც „ტ“ ასოზე იწყება მაგ. ტელეფონი, ტელევიზორი და ა.შ. თამაშის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვმა წარმოდგენილ ილუსტრაციაზე დაასახელოს ნივთები კონკრეტულ დასახელებულ ბგერაზე ან მარცვალზე, რომელიც იქნება სიტყვის დასაწყისში, შუაში ან ბოლოში.

დასახელებული ბგერის/მარცვლის გაგონების შემთხვევაში რაიმე მოძრაობის შესრულება, მაგ. ახტი, როდესაც გაიგონებ სიტყვას, რომელიც შეიცავს მარცვალს 'კა'

გვითხარი, მერამდენა ასო „ტ“ სიტყვა 'კარტოფილში'

➤ მარცვლების გამოყოფა და შეერთება

თამაში 'რამე ჩვენს გარშემო, რაც იწყება მარცვლით 'თე'. – ბგერებთან თამაშის ანალოგიურად. თამაში 'ერთი, ორი, სამი – ასრულებ შენ!' – მშობელი და ბავშვი ერთმანეთს ეუბნებიან 'ერთი, ორი, სამი – ასრულებ შენ!' და ამას ამატებენ ერთ მარცვალს მაგ. 'ნა'. მოწინააღმდეგის დავალებაა დაასახელოს სიტყვა მოცემულ ბგერაზე. მაგ. ნა-კადული და ა.შ.

თამაში მარცვლებით მატარებლის აწყობაზე. მშობელი ასახელებს ორმარცვლიან სიტყვას, ბავშვის დავალებაა დაასახელოს შემდეგი სიტყვა, რომელიც მშობლის მიერ დასახელებული სიტყვის მეორე მარცვალზე დაიწყება, შემდეგ კვლავ მშობელი იგონებს სიტყვას შვილის მიერ დასახელებული სიტყვის მეორე მარცვალზე მაგ.: კა-რი, რი-ყე, ყე-ლი და ა.შ. თამაში გრძელდება იქამდე, სადამ ერთერთ მონაწილეს არ ამოეწურება სიტყვების მარაგი კონკრეტულ მარცვალზე.

თამაში 'რითმები' – მშობელი და ბავშვი მონაცვლეობით ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთს ერთმეხა მაგ.: მშობელი ამბობს 'ისარი' ბავშვი პასუხობს 'ქამარი'.

თამაში 'მარცვლების დეტექტივი'. არჩეულ ილუსტრაციაზე ბავშვი ცდილობს მოძებნოს საგნები, რომელთა დასახელებაშიც არის ის ბგერა, რომელიც მშობლის მიერ იყო დასახელებული.

თამაში 'უფრო მეტი მარცვალი?' მარცვლების რაოდენობის დასახელება სურათზე ნაჩვენები საგნების დასახელებებში. თამაშისთვის შესაძლებელია 'მემო' კარტების გამოყენება ან ('შავი პიოტრუში'), ხოლო დასათვლელად, ლობიოს მარცვლების, მძივების ან ჩხირების გამოყენება. ვალაგებთ კარტს მაგიდაზე, ისე რომ გამოსახულება მაგიდის მხარეს იყოს მოქცეული, მონაწილე აბრუნებს კარტს, ასახელებს მასზე მოცემულ გამოსახულებას და ითვლის მარცვლებს, თუ ამას სწორად აკეთებს იტოვებს იმდენ (ლობიოს, მძივს), რამდენი მარცვალიც იყო სიტყვაში. საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვისაც უფრო მეტი მძივი, ლობიოს მარცვალი ან ჩხირი დაუგროვდება.

➤ თამაში წინადადებებით

თამაში 'ააწყე წინადადება'. ამ თამაშისთვის ვიყენებთ 'მემო'-ს ან სხვა სურათებს. ვაწყობთ სურათებს ამოტრიალებულ მდგომარეობაში, მონაწილემ

უნდა გახსნას გარკვეული რაოდენობის ბარათი და თქვას წინადადება მიღებული სიტყვების გამოყენებით. დრო არის შეზღუდული.

თამაში 'რამდენი სიტყვაა?'. მშობელი ამბობს წინადადებას მაგ.: 'გოგონა ჭამს ნაყინს'. ბავშვმა უნდა დააღაგოს იმდენი ღილი, მძივი ან ლობიოს მარცვალი რამდენი სიტყვაც არის დასახელებულ წინადადებაში.

თამაში 'ვაწყობთ წინადადებას' – ბავშვი და მშობელი მონაცვლეობით აგორებენ კამათელს. იმის მიხედვით თუ რა ციფრი ამოვა კამათელზე, იმდენი სიტყვისგან უნდა დააღაგონ წინადადება. თუ თამაშის მონაწილემ შეძლო დავალების სწორად შესრულება იგი იღებს იმდენ მარცვალს ან ღილს რამდენი სიტყვისგანაც ააწყო წინადადება. თუ კამათელზე ერთიანი ამოვიდა ეს ნიშნავს რიგის დაკარგვას. თამაში მიმდინარეობს წინასწარ შეთანხმებული რიგითობის მიხედვით. საბოლოოდ იმარჯვებს ის, ვინც უფრო მეტ მარცვალს ან ღილს დააგროვებს.

თამაში 'წინადადებების განვითარება'. მშობელი ასახელებს მარტივ ორსიტყვიან წინადადებას, მაგ.: 'ბიჭი მოგზაურობს'. ბავშვის დავალებაა დაამატოს ამ წინადადებას რაიმე სიტყვა, ისე რომ შინაარსობრივად გამართული იყოს. მაგალითად 'ბიჭი მოგზაურობს მატარებლით' ან 'მხიარული ბიჭი მოგზაურობს'. შემდეგ სიტყვას ამატებს მშობელი.

მხედველობის ანალიზატორი და მხედველობითი აღქმა

როგორ ვხედავთ?

ისევე როგორც სმენის შემთხვევაში მხედველობითი გამაღიზიანებლების - სურათების აღქმაზე პასუხისმგებელია ჩვენი თვალი, შემდეგ ინფორმაცია თვალიდან ნერვული არხების გავლით მიეწოდება ტვინს, უფრო სწორად კი თავის ქალის კეფის არეში. ამიტომ მათი გაუმართავი ფუნქციონირების შემთხვევაში, გარდა მხედველობითი სიმძაფრის დაქვეითებისა, ჩნდება აღქმის მიკროდეფექტები, რასაც მოყვება მხედველობითი ანალიზის და სინთეზის დარღვევა.

მშობელმა უპირველეს ყოვლისა უნდა დაადგინოს მხედველობითი აღქმის დარღვევა არის დაკავშირებული თვალის ფუნქციონირებასთან და მის აგებულებასთან თუ ეს არის მიკროდეფექტების ეფექტი, რომელიც თავის ქალის მხედველობით არეში მდებარეობს. ვიზიტი ოკულისტთან გამოავლენს არის თუ არა თვალის კაკალი სწორი აგებულების და ემუქრება თუ არა ბავშვს მხედველობითი დაქვეითება, რომელიც გავლენას ახდენს მხედველობით სიმძაფრეზე, რასაც სწრაფი დაღლა, თავის და თვალის ტკივილს იწვევს.

ამას მოყვება ბავშვის სიზარმაცე ხატვის ან კითხვის დროს. დიდი მნიშვნელობა აქვს, ასევე, თვალის კაკლების მოძრაობას და მათი მოძრაობების კოორდინაციას. თუ ბავშვს აღენიშნება თვალის კაკლის სუსტი მოძრაობა ან ეს მოძრაობა არ არის კოორდინირებული, იგი კითხულობს ნელა და ტექნიკურად გაუმართავად. მეორე მხრივ, თავის ქალის მხედველობითი არის დაზიანების შემთხვევაში ბავშვს აღენიშნება საგნების აღქმის დარღვევა და მათი სივრცეში ზუსტი განლაგების დასახელება უჭირს.

რა შეიძლება გააკეთოს ამ შემთხვევაში მშობელმა?

იმის მსგავსად, როგორც სმენასთან დაკავშირებული პრობლემების დროს უნდა დაიწყოს მეცადინეობა და ვარჯიში კონკრეტული საგნების გამოყენებით, მაგ. კუბიკები, კონსტრუქტორები, სხვა

რა ფაქტორები უზრუნველყოფს გამართულ მხედველობით აღქმას, რაც ხელს უწყობს სწორ განვითარებას სწავლის პროცესში?

მხედველობითი აღქმის სწორი განვითარება დამოკიდებულია 5 ასპექტზე, ესენია:

- მხედველობით-სამოძრაო კოორდინაცია. ეს ხელს უწყობს თვალის კაკლის და ხელის ჰარმონიულ მოძრაობას. ეს არის აუცილებელი წერისათვის, რაც უზრუნველყოფს სიზუსტეს და გამართულობას, ხაზების დაცვას, ასოებსა და მათ ელემენტებს შორის პროპორციების დაცვას.
- ფიგურის და ფონის აღქმა. ფიგურა წარმოადგენს ჩვენი თვალთახედვის არის ნაწილს, როდესაც ყურადღება სხვა ელემენტზე გადაგვაქვს, რომელიც აქამდე ჩვენი თვალთახედვის არეში ფონის ელემენტს წარმოადგენდა იგი იქცევა ფიგურად, ხოლო მანამდე დანახული ფიგურა 'ეფლობა' ფონში. ეს არის გარდაუვალი იმისათვის, რათა ბავშმა შეძლოს კონკრეტული ნიშნების გამოყოფა ელემენტების მთელ ჯაჭვში, კონკრეტული ასოების სიტყვებში.
- აღქმის მუდმივობა. ეს უზრუნველყოფს ობიექტების, მათ მუდმივ მახასიათებლებთან ერთად აღქმას – ფერის, ფორმის, მდებარეობის (ხედვის რაკურსის მიუხედავად), განათების. ეს არის აუცილებელი ასოების ზუსტი ამოცნობისთვის, რომლებსაც მუდმივი, უცვლელი მახასიათებლები გააჩნიათ – ფორმა, ასოს ელემენტების განლაგება ერთმანეთის მიმართ, მუდმივი პროპორციები.
- საგნების აღქმა სივრცეში. ეს გამოხატავს კავშირს აღქმულ საგანსა და დამთვალეირებელს (სუბიექტს) შორის. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რაიმე არის ზემოთ, ქვემოთ თუ გვერდზე ჩვენს მდგომარეობასთან მიმართებაში.
- სივრცითი კავშირების აღქმა. ეს შესაძლებელს ხდის სივრცეში ბევრ საგანს შორის კავშირების დასახელებას. ბავშვს, რომელიც მდებარეობს ილუსტრაციას აფერადებს, შეუძლია მასზე არსებული ელემენტების მდებარეობის დასახელება – მაგ. მზის, ყვავილების, ღრუბლების, ასევე საკუთარ თავთან მიმართებაში, მაგალითად მზე არის ფურცლის ზედა მხარეს, ან ერთმანეთთან მიმართებაში, მაგ. მზე არის ღრუბლებიდან მარჯვნივ, ან ყვავილები არის ღრუბლების ქვეშ.

რა შეიძლება მეტყველებდეს მხედველობით დარღვევაზე? რამ უნდა დააეჭვოს მშობელი?

- სირთულეები გადაწერის დროს, სმენითი კარნახის და დამახსოვრებული შინაარსის დაწერა, ტექსტის ფრაგმენტების, ასოების, მარცვლების გამოტოვება, ნაწერის ფურცელზე არასწორი გადატანა – შუა ფურცლიდან დაწყება, აღნიშნული ხაზებიდან გადასვლა,
- ასოების ფორმების დამახსოვრებასთან დაკავშირებული პრობლემები, ბავშვს მიუხედავად უამრავი მეცადინეობების უჭირს სწორად გამოიყვანოს ასო, აგრეთვე ეშლება მსგავსი ფორმის მქონე ასოები.
- გრაფიკული ასოების ცალკეული ელემენტების გამოტოვება (ხაზების 'კუდების' გამოტოვება, ეს შეცდომები ეხება მხოლოდ მართლწერას, შეიძლება იყოს კ და ჭ ან ჯ, ქ, დაწერის დროს გამორჩეს, 'ბაფთის' ან ხაზის გაკეთება)

კითხვაში:

- სირთულეები კონკრეტული ბგერის გრაფიკულ ნიშანთან დაკავშირება,
- მსგავსი ასოების ან სიტყვების ერთმანეთში აღრევა (კინო-კივი-კირი)
- კითხვის დროს სიტყვების დაბოლოებების გამოცნობა, 'ზეპირი კითხვა'
- ასოების დამატება ან დაკლება, ან საერთოდ მთლიანი მარცვლების, სიტყვების დაბოლოებების დამახინჯება,
- კითხვის ძალიან დაბალი ტემპი და სიზარმაცე, განსაკუთრებით ხმამაღალი კითხვის დროს - უჭირს წაკითხული შინაარსის გაგება/გააზრება, რადგან კითხვის დროს ძირითადი ყურადღება ტექნიკურ მხარეზე აქვს გადატანილი.

ხატვის დროს:

- ნახატები მოკლებულია კონკრეტულ დეტალებს,
- ელემენტების პროპორციების დარღვევა და სივრცითი კავშირების დარღვევა,
 - სცდება აღნიშნულ კონტურებს გაფერადების დროს,
 - პრობლემები ექმნება ფორმების გადახატვის დროს, განსაკუთრებით გეომეტრიული ფიგურების გადატანისას ბავშვის აქტივობის დაკვირვება სხვა სასკოლო საგნებში:
- გეომეტრია, ბავშვს უჭირს გეომეტრიული ფორმების განსხვავება/გარჩევა, დარღვეული აქვს სივრცითი წარმოსახვის უნარი,
- გეოგრაფია, უჭირს რუკასთან მუშაობა, მასზე სივრცითი კავშირების დაფიქსირება, ასევე უჭირს პოლარული მხარეების ორიენტაცია.

სათამაშოები, ლილები. ვიდრე გადახვალთ თამაშებზე ასოების გამოყენებით, უპრიანია გამოიყენოთ სხვადასხვა სიმბოლოები - სქემატური ნახატები, გეომეტრიული ფიგურები.

თამაშები კონკრეტული საგნების გამოყენებით.

- ▶ კონსტრუქტორების გამოყენება, მაგალითად მხოლოდ წითელი ფერის კონსტრუქტორების გადარჩევა, ან ყველა მცირე ზომის ცალკე გადაწყობა, ყველა დიდი, ყველა ექვსკუთხედი ფორმის მქონე და ა.შ. თავიდან ბავშვს დროში არ ვზღუდავთ, შემდეგ კი შეიძლება დროის შეზღუდვის ელემენტის შემოღება, მაგალითად ნახევარი წუთი.
 - ▶ თანმიმდევრულობის გამოვლენა. მშობელი აწყობს კუბიკებს, თესლებს, მძივებს გარკვეული თანმიმდევრობით, შემდეგ ბავშვს ევალება ისინი იგივენაირად დაალაგოს. ასეთი თამაშის სხვა ვარიანტის გამოყენებაც შეიძლება, მაგ. მშობელი ალაგებს 2 მწვანე მძივს, ერთ წითელს და ერთ ცისფერს, შემდეგ კვლავ 2 მწვანე, ერთი წითელი და ერთი ცისფერი, შემდეგ კვლავ ამატებს ერთ მწვანეს და სთხოვს ბავშვს რომ მან გააგრძელოს და სწორად დაალაგოს შესაბამისი ფერის მძივები.
 - ▶ მხედველობითი მახსოვრობა. რომელი კუბი გაქრა? მშობელი მწკრივში აწყობს რამდენიმე კუბს და სთხოვს ბავშვს რომ კარგად დააკვირდეს მათ, შემდეგ კი ერთ კუბს მალავს. ბავშვის დავალებაა გამოიცნოს, თუ რომელი კუბი გამოაკლდა. ამ თამაშის სხვა ვარიანტია, როდესაც მშობელი კუბების თანმიმდევრულობას ცვლის და ბავშვმა უნდა გამოიცნოს თუ რომელ კუბებს შეეცვალა ადგილი.
 - ▶ კონსტრუქტორის აწყობა სქემის მიხედვით – კონსტრუქციის აწყობა.
 - ▶ აწყობა მეხსიერებიდან. მშობელი აწყობს რაიმე კონსტრუქციას, შემდეგ აჩვენებს მას ბავშვს, სთხოვს რომ მის კარგად დააკვირდეს და დაიმახსოვროს მისი აგებულება. შემდეგ შლის კონსტრუქციას და ბავშვი მას ხელახლა მეხსიერებიდან აგებს.
 - ▶ სივრცითი კავშირები. აწყობა ახსნით. მშობელი დებს იატაკზე ერთ კონსტრუქტორს, შემდეგ კი სთხოვს ბავშვს, რომ მისი მითითების მიხედვით ააწყოს დანარჩენი, მაგ. დაამატე 2 კონსტრუქტორი ჩემი კონსტრუქტორის წინ, დადგი მწვანე კონსტრუქტორი ჩემი კონსტრუქტორის ქვეშ, ჩაამატე ცისფერი კონსტრუქტორი შენს ორ კონსტრუქტორს შორის და ა.შ.
- სად არის კონსტრუქტორი? მშობელი დებს კონსტრუქტორს ნებისმიერ ადგილას, ბავშვის დავალებაა დასვას კითხვა კონსტრუქტორის მდებარეობის შესახებ ისე, რომ მშობელს შეეძლოს 'კი' ან 'არა' პასუხის გაცემა, მაგ. კონსტრუქტორი მაგიდის ქვეშაა?
- ▶ მხედველობით-სამოდრაო კოორდინაცია. ქაღალდის ბურთების მიზანში სროლა, კუბების კალათში ჩაგდება, ბურთის აგდება და დაჭერა, მძივების აწყობა.

მხედველობითი აღქმის განსავითარებლად შესაძლებელია სხვა მაღაზიაში ხელმისაწვდომი სათამაშოების გამოყენება მაგ. მემო, პაზლები, სხვადასხვა ასაწყობები, კონსტრუქტორი, ლატარეები, დომინო.

თამაში ქაღალდის ფურცელზე

- ▶ მხედველობითი ანალიზის და სინთეზის განვითარება. ნახატზე ნაკლები ელემენტების მიხატვა/ჩამატება, მაგ. თოვლის ბაბუასთვის ცხვირის და ღილების მიხატვა, რაიმე ფიგურის ერთი მხარის დამატება, ასოს ფრაგმენტის ჩამატება და ა.შ. შერჩეული ელემენტის ან ფიგურის მოძიება ფორმატზე სხვა ელემენტებს შორის. გაზეთის გვერდზე დასახელებული ასოების, მარცვლების, სიტყვების მოძიება. თემატურად ნახატების ერთმანეთთან დაკავშირება, სიმბოლოების, ასოების. 'იდენტურ' სურათებს შორის განსხვავებების მოძებნა.
- ▶ მხედველობითი მეხსიერების განვითარება
ამოცანები სურათთან დაკავშირებით. მშობელი სთხოვს ბავშვს კარგად დააკვირდეს სურათს მერე კი უსვამს კითხვებს: რამდენი ძაღლი იყო სურათზე, რა ფერის შარვალი ეცვა ბიჭუნას და ა.შ. მარტივი ფიგურების და ფორმების გადახატვა, ასევე ასოების ნაკრების სრულად გადატანა.
- ▶ მხედველობით-სამოდრაო კოორდინაციის განვითარება
ლაბირინთების გავლა. კარგია თავიდან მარტივი ლაბირინთების გამოყენება. მნიშვნელოვანია ცარცის გამოყენება, რომლის წაშლაც ადვილია არასწორი ნახაზის გაკეთების შემთხვევაში, ან ლაბირინთის ნახაზის ზემოდან გამჭირვალე პოლიეთილენის დადება, რომ ფლომასტერით დახაზვა იყოს შესაძლებელი.
ხატვა შაბლონზე. (მაგალითად წერტილების შეერთება ნახატის გამოსაყვანად) აქაც შესაძლებელია პოლიეთილენის და ფლომასტერის გამოყენება.

კინესთეტიკურ-სამოდრაო ანალიზატორი. მსხვილი და ნატიფი მოტორიკა

კინესთეტიკურ-სამოდრაო ანალიზატორის წყალობით ბავშვს შეუძლია მიიღოს და განახორციელოს სხვადასხვა მოტორიკული მოქმედება, მაგალითად კითხვის დროს თვალის კაკლების მოძრაობა, ასევე კითხვისას მეტყველების აპარატის გამოყენება, წერის დროს ხელის მოძრაობა. თუ რაიმე მიზეზის გამო მოძრაობათა განვითარება, იქნება ეს ხელის მოძრაობა (ნატიფი მოტორიკა) თუ მეტად ფართე მოძრაობები (მსხვილი მოტორიკა), არის დარღვეული ან

დაგვიანებული ბავშვს ექმნება სირთულეები სკოლაში. სკოლამდელი ასაკის მიწურულს ბავშვის მსხვილ მოტორიკის სწორი განვითარება ხასიათდება შემდეგი სამოდრო კომბინაციების დაუფლებით: ხტომა, სირბილი, დაჭერა, სროლა, წონასწორობის შენარჩუნება, ამას მოყვება ველოსიპედის ტარება, თხილამურებზე სრიალი, გორგოლაჭებით სიარული, ცოცვა. ნატიფი მოტორიკის ფარგლებში ბავშვი მოიპოვებს კონტროლს მკლავის, მტევნის და მხრის მოძრაობაზე.

რა შეიძლება გააკეთოს მშობელმა?

მოძრაობის განვითარების შემთხვევაში მის საფუძველს წარმოადგენს ბავშვის გამოცდილების დაგროვება ამ სფეროში. ხშირად მშობლების მიდგომა და პოზიცია ხდება ამ სფეროში განვითარების სირთულეების და დაგვიანებების მიზეზი.

ყველაზე ხშირი შეცდომები მათი მხრიდან:

- ბავშვის თავისუფალი მოძრაობისთვის შესაბამისი სივრცის არარსებობა, მაგ. ვიწრო ოთახი,
- ფიზიკურ და ინტელექტუალურ მეცადინეობებს შორის ბალანსის არარსებობა, დიდი დატვირთვა ინტელექტუალურ განვითარებაზე, მაგ. საბავშვო მოედანზე თამაშის ნაცვლად წასაკითხი დავალებების მიცემა

რამ უნდა დააფიქროს და დააეჭვოს მშობელი? რა შეიძლება მეტყველებდეს კინესთეტიკურ-სამოდრო ანალიზატორის ფუნქციონირების დაგვიანებას ან დარღვევაზე?
 მოძრაობის მოუხერხებლობა გამოიხატება შემდეგში:

- მოძრაობების უზუსტობა
- მოუხერხებლად გადაადგილდება კიბეებზე - ყველა კიბეზე მეორე ფეხსაც დგამს
- გასართობ მოედნებზე საცოც კედელზე ასვლა უჭირს
- უჭირს ბურთის დაჭერა და სროლა, ასევე სხვა სავარჯიშო ხელსაწყოების გამოყენება,
 - ვერ ახერხებს ორივე ფეხით ნახტომის გაკეთებას, ვერც ცალ ფეხზე,
 - ვერ ეუფლება სკუტერზე, ველოსიპედზე, გორგოლაჭებზე სიარულს,
 - არაკოორდინირებული მოძრაობები, ელასტიურობის ნაკლებობა, ასევე უნებლიე, უადგილო მოძრაობების შესრულება კონკრეტული მოქმედების დროს (მაგ.: წერის დროს ენის მიყოლება),
- ძალიან უჭირს ახალი სამოდრო უნარჩვევების დაუფლება.

რამ უნდა დააფიქროს და დააეჭვოს მშობელი? რა შეიძლება მეტყველებდეს კინესთეტიკურ-სამოდრო ანალიზატორის ფუნქციონირების დაგვიანებას ან დარღვევაზე?

ხელის მოძრაობის მოუხერხებლობა გამოიხატება შემდეგში:

- უჭირს საკუთარი თავის მოვლისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება: ჩაცმა, გახდა, ღილების შეკვრა, თასების შეკვრა, სამაგიდო ნაკრების გამოყენება და სხვა ყოველდღიური რუტინის მოქმედებების შესრულება,
- სამუშაო ნივთების გაუმართავი, არასწორი დაკავება ხელში - ცარცის, ფანქრის, საშლელის, ამას მოყვება სიზარმაცე სხვა პლასტიკური დავალებების შესრულების დროს - ხატვისას, ხაზვისას,
- აღენიშნება მოუხერხებლობა მაკრატილის გამოყენების დროს, არ ეხერხება რაიმე ფიგურის გამოჭრა ან ცუდად გამოსდის, ამ დროს უფრო ჭმუჭნის და აფუჭებს ქალაქს ვიდრე ჭრის, ხელის კუნთების ზედმეტი დაძაბვა, განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა წერის ან ხატვის დროს, როდესაც ბავშვი ზედმეტი ძალით აწვება ფანქარს ან კალამს, დაფაზე წერის დროს უტყდება ცარცი, ნახატის ხაზები ხშირად ზომიერად უფრო სქელია, ხოლო ფურცელი რომელზეც მუშაობს ბავშვი არის დასრესილი და ნაწვალევი,
 - ზოგჯერ პირიქით, კუნთების ზედმეტად სუსტი დაძაბვით ხასიათდება, ბავშვი თითქმის არ ატანს ძალას საწერ საშუალებას, ნახატი გამოდის მკრთალი და ნაკლებად გარკვეული, ხაზები არის მარტივი, ხშირად ტალღოვანი და წყვეტილი, უპირატესობას ანიჭებენ მარტივ და მცირე ნახატებს,
 - ორივე ხელის კოორდინაციის დარღვევა, ბავშვი უფრო მეტად ერთ რომელიმე ხელს იყენებს, მეორე ყოველთვის თითქოს უშლის,
 - ფურცელზე ნახატის ან ნაწერის არასწორი/არათანაბარი განთავსება, ბავშვი ფურცლის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იყენებს, მაგ. მხოლოდ ზედა ან მხოლოდ ქვედა მხარეს, ასოები და ნახატები არ არის ერთმანეთის მიმართ პროპორციული,
 - მანუალური (ხელის) მოძრაობების განსახორციელებლად უფრო მეტი კუნთის ჩართვა/ამუშავება, ვიდრე ეს რეალურად არის საჭირო (მაგ., წერის დროს 'ეხმარება' საკუთარ თავს, თავის, კისრის ან ენის მოძრაობით),
 - წერის პროცესში ავტომატიზაციის არარსებობა, ყოველი ასოს, ხშირად კი მისი ფრაგმენტის განცალკევებით წერა,
 - ნაწერის გრაფიკული მხარის ძალიან დაბალი დონე 'უშნო ნაწერი' - ასოებს ფორმა დაკარგული აქვთ, ნაწერი არაპროპორციულია, ძალიან გამარტივებული.

- ▶ სამოდრო სირთულეების დაძლევაში დახმარების არარსებობა (დაცინვა, უნდობლობა, მიუღებლობა - შენ მაგას ნამდვილად ვერ გააკეთებ, რა უნიჭო ხარ),
- ▶ მშობლების ზედმეტი მზრუნველობა, რაც გამოიხატება ბავშვის სამოდრო სირთულეების დამოუკიდებლად გადალახვის შეზღუდვით, მაგ. საცოცი კიბიდან ბავშვის ჩამოყვანა, იმის შიშით რომ იგი დამოუკიდებლად ვერ ჩამოვა და ჩამოვარდება.

რატომაა საჭირო ნატიფი და მსხვილი მოტორიკის სწორი განვითარება?

ნატიფი და მსხვილი მოტორიკის სწორი განვითარების შემთხვევაში ბავშვს აქვს წარმოდგენა საკუთრი სხეულის სქემაზე, მან იცის რომელი მხარეა მარცხენა

და რომელი მარჯვენა, მისი მოძრაობები არის ელასტიური, კოორდინირებული და ზუსტი, რაც ხელს უწყობს ეფექტურ მოქმედებას, ყველა დავალების სწრაფ და ზუსტ შესრულებას. ბავშვი მეტად დამოუკიდებელი ხდება, აქვს უსაფრთხოების განცდა და სამყაროს გაცნობის ახალი შესაძლებლობები. კარგად განვითარებული ნატიფი მოტორიკა უზრუნველყოფს უფრო ზუსტ და მკაფიო მოძრაობას, რაც განსაკუთრებით წერის დროსაა, აუცილებელი. სკოლის კარის შეღების შემდეგ ახალ მოსწავლეს აქვს წარმატების მოპოვების შანსი - საორგანიზაციო საკითხებთან არ გააჩნია პრობლემები - სწრაფად იღებს და ალაგებს თავის ნივთებს, ალაგებს წიგნებს, აწესრიგებს პენალს, იცვლის ტანსაცმელს სპორტის გაკვეთილზე შესვლის წინ, იცვამს საგარეო ტანსაცმელს სასაბურთაო სასვლის წინ. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდება, როდესაც ეს განვითარება არის დაგვიანებული. ამ დროს ისეთი საგანიც კი, როგორც ფიზიკური აღზრდა, ხშირად სტრესის წყაროდ იქცევა და საერთოდ არ არის სიხარულის მომტანი. ყოველი მოქმედება შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს, თვითონ გაკვეთილი კი კომმარად ექცეს. დასაწყისშივე ბავშვს უჭირს წყლით სავსე ჭიქის მაგიდამდე მიტანა, ვერ წმენდს იატაკს - მოძრაობები არის უხერხული, ნაკლებად ზუსტი. როდესაც სამუშაო მაგიდას მიუჯდება ყველა დანარჩენი უკვე ხატავს, მას კი საღებავების გახსნა უჭირს, წყალი კვლავ ეღვრება, ისევ უნდა შეამშრლოს ზედაპირი, ამ დროს კი მკლავები უსველდება.

ბავშვი ცდილობს ფურცლის შუა ნაწილში წრე დახატოს, მაგრამ ამის მაგივრად ფურცლის მარცხენა ნაწილში რაღაც სამკუთხედსა და წრეს შორის გაუგებარი ფიგურა გამოსდის. ფერის შეცვლის შედეგად გამოსდის ჭუჭყიანი ლაქა, რადგან ვერ ახერხებს ფუნჯის კარგად გარეცხვას და მის ჩამოფერთხვას. გაკვეთილი სრულდება ფურცელზე კი დიდად შედეგი არ ჩანს.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის მოძრაობების განვითარებას?

ეს არის დავალება, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ მკურნალობას, მასალებს, მოსამზადებელ დახმარებას, მარტივია დამატებითი აქტივობების ჩართვა ოჯახის ყოველდღიური მოქმედებების გრაფიკში, რა თქმა უნდა, ამას თავიდან დამატებითი დრო დასჭირდება, ხოლო მოგვიანებით კი ჩვენი შვილის დამოუკიდებლობის თვითმხილველები ვხდებით. მოდით დღის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ავიღოთ, მაგალითად დილა. ყველა მოქმედების, რომელზეც ახლა ვწერ, სამი წლის ბავშვს შეუძლია აკეთოს, ხოლო 4-5 წლის ასაკში მყოფი კი აუცილებლად უნდა ასრულებდეს მსგავსს დავალებებს. იმის ნაცვლად რომ ღამის პერანგი გავხადოთ - ასე უფრო მარტივი და სწრაფია - მივცეთ ბავშვს საშუალება ეს თვითონ გააკეთოს, ასევე სცადოს ჩაიცვას საღამოს სპეციალურად მისთვის მომზადებული ტანსაცმელი, დაკეცოს ღამის პერანგი, გაასწოროს საბანი. მხოლოდ ასეთ მარტივ მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია მოძრაობის სიზუსტის გამოსამუშავებლად და მხედველობით-სამოდრო კოორდინაციის განსავითარებლად, შეუძლიათ განავითარონ როგორც მეტად ფართე მოძრაობები - ბრძოლა საბანსა და ბალიშთან, ასევე მცირე მოძრაობებიც - დილების შეკვრა და გახსნა. არ განსხვავდება აქტივობები საუზმის დროსაც - დასხმა, წასმა, მიწოდება, მოგვიანებით კი თევზის გარეცხვაც ემატება. დილა დასრულდა ჩვენ კი უკვე ამდენი ვიმეცადინეთ და ვივარჯიშეთ.

რა მოქმედებებს მოყვება, მსხვილი მოტორიკის განვითარება?

- ▶ ველოსიპედის ტარება, გორგოლაჭებზე დგომა, სირბილი, სახტუნაოს გამოყენება, ბურთით თამაში
- ▶ სროლა, ესტაფეტები,
- ▶ საბავშვო მოედნებზე სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენება - ცოცვა, ერთი კიბიდან მეორეზე გადასვლა, გადახტომები და ა.შ.
- ▶ წონასწორობის ვარჯიშები - ვიწრო ბორდიურზე სიარული, ერთ ფეხზე დგომა და ხტომა, ხტომები ტრამპლინიდან და სხვა,
- ▶ ბურთის ჩაწოდება სხვა მონაწილესთვის, მიზანში სროლა მაგ. კენჭების ჩაღრმავებულ ადგილში სროლა,
- ▶ ხატვა და ხაზვა დიდ ფორმატებზე - ცარცით ასფალტზე, ხატვა გაზეთებზე, დიდი ფორმატის მქონე ფურცლებზე,
- ▶ ხატვა დაფაზე, კედელზე ერთი ან ორივე ხელის გამოყენებით,
- ▶ სამოდრო აქტივობები მუსიკის თანხლებით, ცეკვა,

- რეფლექსების განსავითარებელი თამაშები - ვინ პირველი დაიჭერს ბურთს, ვინ პირველი შეაგროვებს ყველა კონსტრუქტორს.

რა მოქმედებები უწყობს ხელს ნატიფი მოტორიკის განვითარებას?

- ბავშვის საშინაო საქმეებში ჩათვა მაგ.: ცომის მოზელვა, ხილის გარჩევა, კუნწების მოძრობა, სხვადასხვა ფორმის ნამცხვრების გამოჭრა და ა.შ.,
- თვითმომსახურების დროს დამოუკიდებლობას შეჩვევა (დაბანა, დალაგება, ღილების შეკვრა, ელვა შესაკრავების შეკვრა/გახსნა),
- სამაგიდო თამაშები: ბილიარდი, ბიერკი (თამაში ჯგუფში ფერადი სხვადასხვა ფორმის მქონე პლასტიკური ჩხირებით, ეს ჩხირები იშლება მაგიდაზე და მონაწილეებმა ისე უნდა გამოიღონ ისენი სათითაოდ სხვა ჩხირები რომ არ ჩამოიშალოს, ყველა ფორმას თავისი ქულების რაოდენობა აქვს, იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მე ქულას დააგროვებს ქვ. საიტზე შესაძლებელია სურათის ნახვა <http://www.hetman-zabawki.com.pl/gry-kategorie/bierki-pchelki-kosci.html>
- თამაშები მძივების, კონსტრუქტორების და სხვა მსგავსი ნივთების მანიპულაციით,
- თიხის, პლასტელინის ან სათამაშო ცომის პერწვა;
- ხელის მტევნის ვარჯიში: მტევნის ქნევა, ტრიალი, ტაშის დაკვრა, სრესა, შეკუმშვა/გახსნა, მცირე ზომის ბურთების სრესა ერთი ან ორივე ხელით გაზეთისგან ბურთების გაკეტება, დაჭიმუჭვნის გზით
- თითების ვარჯიში - თითების მარში მაგიდის ზედაპირზე გარკვეული მიმართულებით, თითებით სირბილი, თითებით კაკუნი მაგიდაზე, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის იმპროვიზაცია, ჩრდილების თეატრის მოწყობა, სხვადასხვა რითმების და ხმების გამეორება, მაგ.: წვიმის წვეთების წკაპუნის ხმის გამეორება, თითებით ხელსახოცების, კაშნების დახვევა,
- ძაფის ნაჭერში ამოყვანა, მძივების ასხმა, ფეხსაცმელზე თასმების გაყრა, ასევე სხვა ხელსაწყოების გამოყენება თასმების და თოკების გამოსაყვანად,
- ქაღალდისგან რაიმეს ამოჭრა,
- სათამაშო ბეჭდების დასმა, ასევე შეიძლება ხის ან კარტოფილისგან გაკეთებული ბეჭდების გამოყენება,
- ხატვა თითებით, ფუნჯით, ბამბით, ღრუბელით ვერტიკალური, თარაზული, ტალღოვანი, წყვეტილი, სპირალისებური ხაზების გავლა, მრგვალი, ოთხკუთხა, სამკუთხა ფორმების ხატვა,

- არსებული კონტურების შემოხაზვა, ასევე ასოების ხელაულებლად წერა,
- წერტილების შეერთება როგორც სუფთა, ასევე ცალხაზიან ან უჯრიან (მათემატიკის) ფურცელზე,
- ხაზების გავლა პუნქტების შეერთებით, ლაბირინთებში,
- მცირე მონაკვეთების გაფერადება, მაგ. ფიგურების ქაღალდზე,
- სპეციალურ გასაფერადებელ რვეულებში მუშაობა,
- ხატვა შაბლონების გამოყენებით,
- თამაში მცირე საგნებით: დაფაში ჭიკარტების ჩარჭობა - ამოღება, მცირე ელემენტების აკრეფა (ხურდა ფულის, მარცვლების, ღილების - საჩვენებელი და ცერა თითის გამოყენებით, ზემოთ ნახსენები ნივთების პინცეტის გამოყენებით აკრეფა),
- პაზლების და სხვა მსგავსი თამაშების აწყობა
- მაკრატლის გამოყენება, ხაზების მიხედვით ამოჭრა - სწორი, ან გოფირებული ქაღალდისგან, თავდაპირველად მარტივი ფიგურების, ხოლო მოგვიანებით კი მეტად გართულებული ფორმების ამოჭრა,
- პერწვა პლასტელინით, თიხით, ქაღალდის მასით, თავიდან მარტივი ფორმების, შემდეგ კი მეტად გართულებული - ცხოველების, ადამიანების, ასოების,
- თამაში მარიონეტებით,
- კერვა, მაგ.: ღილების მიკერება,
- თითით ჰაერში დასახლებული საგნების 'ხატვა',
- გეომეტრიული ფიგურებით სხვადასხვა პერსონაჟების აწყობა, ადამიანების, ცხოველების, სახლების და ა.შ.

ბავშვი აუტიზმის სპექტრის დარღვევებით

რა არის აუტიზმი?

უახლესი სამედიცინო კლასიფიკაცია DSM-5 აუტიზმის სპექტრის დარღვევებს ნერვულ დარღვევებს უკავშირებს. აუტიზმის შემთხვევაში საუბარია 'დარღვევათა სპექტრზე', რადგან საქმე გვაქვს დარღვევებთან, რომლებიც

სხვადასხვა სფეროში გვევლინება, ისეთებში როგორც მეტყველების ფუნქციონირება, კომუნიკაცია (ურთიერთგაგება), ფიზიკური გამართულობა, საჭმლის მომნელებელი სისტემა, მთელი ნევროლოგიური სფერო, უცნაური ყოფაქცევა, აგრესია, გადაჭარბებული აქტივობა და სხვა.

აუტიზმის დარღვევების შემთხვევაში მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ადრე დიაგნოზის გაკეთება და თერაპიის გავლა, რათა ამ დაავადებამ რაც შეიძლება მცირე გავლენა მოახდინოს ადამიანის გარშემო საზოგადოებაში ფუნქციონირებაზე. დროული მკურნალობის გარეშე აუტიზმს შეიძლება მეტად ღრმა დარღვევები მოყვეს უფროს ასაკში. მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის გამოვლენა შესაძლებელია ჩვილ ბავშვებში, ხშირად ამის დიაგნოზს უკვე მოზარდებს უსვამენ, თუმცა ზოგჯერ ეს ზრდასრულებში ვლინდება ან საერთოდ არ ექვემდებარება დიაგნოზს.

აუტიზმის დარღვევების მქონე ბავშვების ფუნქციონირება, უფრო სწორად კი კარგად 'ფუნქციონირებადი' ბავშვი, რაც ერთი მხრივ ნორმალურად გამოიყურება. ეჭვს ბადებს მხოლოდ ზოგიერთი მათი ქცევა, რაც საზოგადოების მიერ აღიქმება როგორც უზრდელობა, მაგ. უსაფუძვლო აგრესია, გაკვეთილის მსვლელობის დროს ხელის შეშლა უცნაური ხმების გამოცემის გზით, საკლასო ოთახში სიარული, სხვა მოსწავლეების შეწუხება.

არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც ბავშვი ერიდება მხედველობით კონტაქტს, არ ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან, ვერ პოულობს ურთიერთგაგებას ჯგუფში. პირველი ჯგუფის ბავშვებს ხშირად უწოდებენ 'გაუგონარ ბავშვებს' - ამას კი მშობლებს აბრალებენ, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი შვილების სწორად აღზრდა. მეორე ჯგუფს 'უცხოპლანეტელებს' უწოდებენ - უცნაურები და ჩაკეტილები. აუტიზმის სიმპტომების შეუფასებლობას (რადგან ბავშვებში ყოველთვის გამოჩნდება ცალკეული

- აუტიზმი უფრო ხშირად უჩნდება ბიჭებს. 10 დაავადებულში მხოლოდ 2 გოგოა
- აუტიზმი ევროპა-ს მონაცემების მიხედვით ევროკავშირის მთელი მოსახლეობის 0.6% აღენიშნება აუტიზმი, ეს დაახლოებით 5 მილიონი ადამიანია (2009წ. შედეგები). ხოლო შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა რომ, 166 დაბადებულ ბავშვზე მოდის ერთი ახალშობილი, რომელსაც ასეთი ტიპის დარღვევები აღენიშნება. (www.synapsis.org.pl დან)
- აუტიზმი თავდაპირველად ლეო კანნერმა აღწერა, როგორც დაავადებათა ცალკე ჯგუფი ჯერ კიდევ 1943 წელს. დიაგნოსტიკის და თერაპიის პრაქტიკა და გაღრმავებული ცოდნა აუტიზმის შესახებ ახლა ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამიტომ გააზრებული დახმარების დონე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში.
- სულ ცოტახნის წინ ფიქრობდნენ, რომ აუტიზმის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო აცრები რომლებიც ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვებს უკეთებოდა. თუმცა მეცნიერულად ეს თეორია არ იყო დამტკიცებული.

ონავარი), მოყვება უფრო დიდი პრობლემები აღზრდის პროცესში, როგორც სახლში ასევე სკოლაში, რომლებსაც ვერავინ ვერ უმკლავდება. სწორი დიაგნოზის არარსებობის გამო აუტიზტი არ იღებს შესაბამის დახმარებას, რასაც შედეგად სრული უმწეობის სიტუაცია მოყვება, როდესაც მშობლების, აღმზრდელების და მასწავლებლების სურვილის მიუხედავად ბავშვი სულ უფრო გარიყული ხდება თანატოლთა ჯგუფიდან, ცუდი დამოკიდებულება აქვს მასწავლებლებთან, უქმნის აღმზრდელობით პრობლემებს მშობლებს, შეიძლება კანონდარმღვევიც გახდეს.

საიდან ჩნდება აუტიზმი?

სამწუხაროდ დღემდე არ არის დადგენილი აუტიზმის წარმოშობის მიზეზები. აუტიზმის დარღვევების სირთულე მეტყველებს იმაზე, რომ ამ დაავადებაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. ხშირ შემთხვევაში აუტიზმის წარმოშობის მიზეზი არის გენეტიკური დარღვევები. ამას მრავალი კვლევა ამტკიცებს, ასევე ისიც რომ ეს დაავადება ვლინდება ნათესაებებში, თუ უკვე ვინმეს ჰქონდა ეს გვარში, შეიძლება შთამომავალსაც აღმოაჩნდეს. ითვლება რომ, ერთკვერფხუჯრედიან ტყუპებში აუტიზმი ვლინდება 64% შემთხვევაში, ხოლო სხვადასხვა კვერცხუჯრედიან ტყუპებში ეს საერთოდ არ ფიქსირდება (ევა პისულა აუტიზმი ბავშვებში დიაგნოზი, კლასიფიკაცია, ეთილოგია სამეცნიერო გამ. PWN 1999 გვ. 93). მომდევნო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებები. აუტიზტები ძალიან ხშირად ხასიათდებიან CUN მოქმედებების დარღვევებით, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს EEG კვლევის ან მაგნეტიკური რეზონანსის დროს. საკმაოდ ხშირად აუტიზმთან ერთად ბავშვს უჩნდება ეპილეფსიაც. აუტიზმის განვითარებაზე გავლენა შეიძლება ფეხმძიმობამაც იქონიოს ან პერინატალურმა დაზიანებებმა.

სამეცნიერო ცოდნის დღევანდელი მდგომარეობა შესაძლებელს ხდის ამ დაავადების ერთი ან რამოდენიმე დამახასიათებელი ფაქტორის გამოვლენა. ის რომ, აუტიზტებს სხვა დაავადებებიც აღენიშნებათ, მაგ. ეპილეფსია არ არის რეგულარული. ამიტომ არც ერთი თეორია არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი სამეცნიერო თვალსაზრისით.

როგორ გამოვავლინოთ აუტიზმი?

აუტიზმს ბევრი სახე აქვს. ავადმყოფთა ყოფაქცევა დიამეტრულად განსხვავებული შეიძლება იყოს - აგრესიიდან განმარტობამდე, ინტრუზიული (ზედმეტად აქტიური) კონტაქტის დამყარებიდან სხვა ადამიანებთან სრულ განრიდებად და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის თავის არიდებამდე, გაუთავებელი საუბრისგან სრულ სიჩუმემდე. სხვადასხვა ადამიანებს შეიძლება აღენიშნებოდეს სხვადასხვა სიმძიმის დარღვევები. არის მაღალფუნქციონირებადი ადამიანები, რომელთა განსხვავებაც ჯანმრთელი ადამიანებისგან ძალიან რთულია კარგი დაკვირვების შემთხვევაშიც, თუმცა

არსებობენ ისეთებიც რომლებსაც ერთი შეხედვით ეტყობა ავადმყოფობა. სამედიცინო კლასიფიკაცია განასხვავებს აუტიზმის რამდენიმე სახეს: მსუბუქი, საშუალო სირთულის და ღრმა. ზღვარი მათ შორის არის გარდამავალი და რთულად დასადგენი. დღევანდელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური გამოცდილების და ცოდნის მეშვეობით აუტიზმის სრულად განკურნება შეუძლებელია. ამის მიუხედავად არსებობს თერაპიის ინსტრუმენტების მთელი რიგი, რომლებიც ეხმარება ავადმყოფებს მათი ცხოვრების ხარისხის გაუჯობესებაში. რაც უფრო ადრე იქნება დასმული სწორი დიაგნოზი და განხორციელდება შესაბამისი თერაპია მით უკეთესი პროგნოზები იქნება მომავალში.

აუტიზმი წარმოადგენს დაავადებას, რომელსაც შეცდომაში შეყავს შეგრძნებები, რომელთა მეშვეობითაც ბავშვი ეცნობა სამყაროს. აუტიზტებს როგორც წესი მეტად გამძაფრებული მხედველობითი შეგრძნებები გააჩნია, ისევე როგორც ყნოსვის, შეხების, სმენის, გემოს და ისინი ძალიან მგრძობიარენი არიან გამაღიზიანებლებზე, რომლებიც აღწევენ მათთან მათივე დახმარებით. ეს შეიძლება გამოვლინდეს შემდეგში: რაიმე ფერზე, გემოზე, სუნზე, ხმაზე ნერვული ან აგრესიული რეაქცია. აუტიზტები ხშირად თავს არიდებენ ხმაურს (იხმობენ ყურებს ხმაურიანი შესვენებების დროს სკოლაში), ასევე უჭირთ ისეთ ადგილებში დიდ ხანს გაჩერება სადაც ინტენსიური სურნელებია, მაგ. სკოლის ბუფეტში. თავს არიდებენ ისეთ ადგილებს, სადაც დიდი ზეწოლაა შეგრძნებებზე - მაგ. სანიაღვრებთან, როკ კონცერტებზე, დისკოტეკებზე. შესაძლოა მასწავლებლის სუნამომაც გააღიზიანოს, მისი ხმის ტემბრმა, სკამების გადაადგილების ხმამ, ცარცის ხმამ დაფაზე წერის დროს. შეიძლება ვერ იტანდეს სხვა ადამიანის შეხებას, ხელის ჩამორთმევას, რაიმე მასალებთან კონტაქტს, აუცილებლად მოაჭრიან ყველა ლოგოს თუ ემბლემას ტანსაცმელს, რომლებიც უშუალოდ კანს ეხება.

აუტიზმთან ერთად ხშირად **ნერვული დარღვევებიც** ჩნდება. ამიტომ ასეთი ავადმყოფები შეიძლება მოძრაობის მოუხერხებლობითაც დახასიათდნენ (პრობლემები ექმნებათ სიარულის დროს, ასევე უჭირთ სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშების შესრულება), აქვთ სხეულის არაპროპორციული აგებულობა, უცნაური, არაბუნებრივი ხმა, ლოგოპედიური დარღვევები. შესაძლებელია, თუმცა არ არის აუცილებელი, ჰქონდეთ ეპილეფსია და სხვა ნევროლოგიური დაავადებები.

აუტიზტებისთვის დამახასიათებელია **პრობლემები ურთიერთობაში/ კომუნიკაციაში**. უკიდურეს შემთხვევაში ისინი საერთოდ არ ურთიერთობენ გარშემომყოფებთან, საერთოდ არ ლაპარაკობენ ან აკეთებენ ამას გაუმართავად და გაუგებრად. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი თვალს არიდებს მოსაუბრეს, გაურბის მხედველობით კონტაქტს, არ ესმის მეტაფორები, გადატანილი მნიშვნელობის მქონე წინადადებები, სარკაზმი ყოველდღიურ

ენაში. **სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით გაგება - მაგ. მივდივარ ბაღეტზე** (იმ მნიშვნელობით რომ მივდივარ შეყვარებულთან შეხვედრაზე, ან დისკოტეკაზე), გაიგებს თითქოს მართლა ოპერაში მივდივარ.

აუტიზტური დარღვევების მქონე ადამიანებს **უჭირთ საზოგადოებრივი ნორმების გაგება**, არ ესმით რა წესები ავალდებულბეთ საკლასო ოთახში, სახლში. **ხშირად არასწორად აღიქვამენ სხვა ადამიანების ქცევას**. ეს წარმოადგენს ერთერთ ხელისშემშლელ ფაქტორს მათი სკოლაში მოღვაწეობის დროს - მაგ. აუტიზტის შემთხვევითი შეხება, ხელის კვრა, ან უბრალო მზერაც, შეიძლება მის მიერ როგორც უკიდურესი აგრესიის ფორმა იყოს აღქმული, რასაც მოყვება შიში და არაადეკვატური თავდაცვითი რეაქცია (მაგ. სახიფათო საგნის ჩარტყმა). **არაადეკვატური რეაქციები შეიძლება გაძლიერებული იყოს ემოციებით, რომლებიც დაკავშირებულია შეგრძნებათა გადაჭარბებული სიმძაფრით**. აუტიზტები ხშირად არღვევენ კანონს - მაგ. მცირე ქურდობით, ხშირად ამისთვის მათ სხვები აქეზებენ, რომლებიც უხსნიან, რომ ეს დანაშაული და ცუდი არ არის. ავადმყოფ პირებს არ შესწევთ უნარი მიესადაგონ საზოგადოებრივ ნორმებს, არ შეუძლიათ მოიქცნენ იმ მოლოდინის შესაბამისად, რა მოლოდინიც აქვს მათ მიმართ საზოგადოებას კონკრეტულ სიტუაციაში. მაგ. საზოგადოებრივ ადგილებში ზედმეტად ხმაურობენ, შეუძლიათ გამვლელების შეწყობა ქუჩაში, კომენტარების გაკეთება მაგ. ადამიანების გარეგნობასა და ყოფაქცევაზე, რომლებიც მათ სიახლოვეს იმყოფებიან - მაგ. საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

აზროვნების შეზღუდულობა, გეგმების, წესების მკაცრი შესრულება, ცვლილებებისადმი გულგრილობა. აუტიზტები არ არიან ელასტიურები, მათ უჭირთ მოერგონ ჯგუფს, უფრო სწორად კი მოერგონ ცვლილებებს. ცვლილებები გეგმაში - მაგ. ერთი გაკვეთილის სხვა გაკვეთილით ჩანაცვლება, ამან შეიძლება აგრესია ან მოუსვენრობა გამოიწვიოს. **მეორე მხრივ, მოწესრიგებულობა და დაგეგმილი გეგმის ზუსტი შესრულება მათთვის უსაფრთხოების გრძობის მომტანი ხდება**. აუტიზტში მძაფრი გაღიზიანების რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს მშობლის მიერ მათ გამოსაყვანად დაგვიანებით მისვლამ ზოგიერთი აუტიზტი ყოველთვის ერთსა და იმავე გზით დადის, რომლებიც მათთვის კარგადაა ნაცნობი, სარგებლობენ ერთსა და იმავე საჯარო ტრანსპორტით. თუ კონკრეტული ავტობუსი სამარშრუტო ხაზს იცვლის, მათ ამის მიღება და გააზრება უჭირთ. ხშირად დიდ ყურადღებას აქცევენ ყოვლად სავალდებულო ყოფაქცევის შესრულებას - მაგ. შეუძლიათ ხმამაღლა გამოაცხადონ რომ მოცემულ ადგილას მოწვევა აკრძალულია, ან ალკოჰოლური სასმელების მიღება იქ, სადაც ეს არ არის მიზანშეწონილი. სირთულეებმა შეიძლება იჩინონ თავი სკოლაში გასვლის დროს - ყოველ დილას თავისი რითმი და თანმიმდევრულობა უნდა ჰქონდეს მაგ. გაღვიძება, პირის დაბანა, ჩაცმა, საუზმის მიღება, კბილების გახეხვა, სკოლაში გასვლა. ნებისმიერ ცვლილებას მოქმედებათა ამ ჯაჭვში შეიძლება მოყვეს ძალიან რთული რეაქცია.

აუტიზმის მქონე ადამიანებს სხვადასხვა შფოთვები და აკვიატებები შეიძლება აღენიშნებოდეს, რომლებიც მათ ცხოვრებას განსაზღვრავენ. მაგ. სახლში მარტო ყოფნის შიში, ხელების საპნით კარგად დაბანის აუცილებლობა ყოველი ჭამის წინ, სახლში დაბრუნება ყოველთვის ერთი და იმავე გზით და ა.შ.

ფიქსაციები, ანუ ზებუნებრივი ინტერესის გამოხატვა ერთი რომელიმე ნივთის ან სფეროს მიმართ. აუტისტები ყოველთვის გამოხატავენ ადფრთოვანებას იმ თემაზე რომელიც მათ ყველაზე მეტად იზიდავს და არ იშურებენ დროს და ენერჯიას მასზე ინფორმაციის მოსაძიებლად და ცოდნის გასაღრმავებლად. ზოგჯერ ისე ხდება, რომ ეს თემა საკმაოდ სასარგებლოცაა - მაგ. მეორე მსოფლიო ომის ისტორია ან ინფორმაცია ყველა ქვეწარმავალზე რომელიც დედამიწაზე ცხოვრობს. ასეთ ადამიანს შეუძლია დაასახელოს ყველა მეტად მნიშვნელოვანი ბრძოლა, მეთაური, სამხედრო აღჭურვილობა, ფორმების დეტალები ან ჩამოთვალოს ბაყაყთა ყველა ნაირსახეობა დედამიწის ყველა კუთხეში, მათი უნარჩვევები, გამრავლება და სხვა. **სამწუხაროდ ხშირად აუტისტები აგროვებენ სიღრმისეულ ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, რომელიც არც სკოლაში და არც მომავალ კარიერაში არ ადგებათ.** მაგ. არსებობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფანატიკოსები, რომლებმაც იციან თვითოეული ავტობუსის ხაზი ქალაქში, აგროვებენ ბილეთებს, ახარისხებენ მათ და თვითოეულზე შეუძლიათ ცალკე ისტორიის მოყოლა. ფიქსაციის დადებითი მხარე შეიძლება იყოს საშუალოზე უფრო მაღალი ცოდნა რაიმე საკითხზე, რომელსაც გამოიყენებენ სკოლაში ან სამსახურში. უარყოფით მხარეს კი წარმოადგენს მათი ზედმეტი ჩართულობა საკუთარი ფიქსაციის შესახებ ცოდნის გასაღრმავებლად, ამასობაში სხვა ვალდებულებების შესრულება ავიწყდებათ. ხშირად, ასევე, აიძულებენ გარშემომყოფებს (მეგობრებს, მშობლებს, მასწავლებლებს) უსმინონ მათ გაუთავებელ საუბრებს აღნიშნულ თემაზე.

კვების არჩევა - ბავშვებს აუტიზმის სპექტრით ახასიათებთ დიეტა კონკრეტული საკვები პროდუქტების გამოკლებით. ბევრ კერძზე და საკვებ პროდუქტზე მაშინვე უარს აცხადებენ, მათი სუნის და გემოს გამო. ამის შედეგად ისინი მხოლოდ რამდენიმე გამორჩეულ კერძს ჭამენ. საეჭვოა, თუ ეს პროდუქტები:

- შეიცავენ ძალიან ბევრ შაქარს - ტკბილეულობა, გაზიანი სასმელები, წვენები ნატურალური ფრუქტოზით, ზოგიერთი ტკბილი ხილი
- შეიცავენ გლუტენს - ფქვილის ნაწარმი - მაკარონი, ღვეზელები
- რძის ნაწარმი - ყველი, იოგურტები, რძე

უფრო ხშირად მათ აქვთ იოგურტის გამორჩეული ფირმა და მხოლოდ მას ითხოვენ, ეს ეხება სხვა პროდუქტებსაც, მაგ. სწრაფი მომზადების სუპები, საუზმის მარცვლეულის ბურბუშელა, ფაფები. დიდი მადით და ხალისით ჭამეთ თავიანთ უსაყვარლეს კერძებს, ავიწყდებათ ზომიერება, ხშირად ძალიან დიდი ოდენობით იღებენ მას. ხშირად ამბობენ უარს ხორცზე და ბოსტნეულზე.

სენსორული ინტეგრაციის დარღვევა გამომდინარეობს გადაჭარბებული მგრძნობელობიდან გარე გამაღიზიანებლებზე. ბევრ აუტიზტს სჭირდება **ავტოსტიმულაცია** (ხშირად ავტოაგრესიულიც), ისინი სხვაგვარად აღიქვამენ ტემპერატურას (მაგ. ყინვის დროს არ გრძნობენ სიცივეს). **ბავშვებს შეიძლება აღენიშნებოდეს არაკონტროლირებადი ნერვული ტიკები**, რომლებიც აუტიზმიდან გამომდინარე მეტად მძაფრ ხასიათს ატარებენ. ხშირ შემთხვევაში ეს გამოიხატება ხელების არაკონტროლირებად მოძრაობაში (მტევნების ქნევა), თუმცა ეს შეიძლება იყოს თვალის ხამხამიც, სხეულის ნაწილის ქავილი (ზოგჯერ იმდენად ძლიერი, რომ ნაკაწრებიც ეტყობა - ცხვირის ქექვა), ფრჩხილების კვნიტა, ღრუტუნი, ხველა. თუ გარშემომყოფებს ეს ხელს არ უშლის (მაგ. მასწავლებელს, მოსწავლეებს) სასურველია რომ მის ასეთ ყოფაქცევაზე არ გამახვილდეს ზედმეტი ყურადღება. ხოლო თუ ეს ძალიან შემაწუხებელი გახდა მაშინ მკურნალობა უნდა დაენიშნოს.

აუტისტებს ხშირად აღენიშნებათ **ფსიქომოდრობის ჰიპერაქტიურობა (ADHD)**, რაც დაკავშირებულია ყურადღების კონცენტრაციის პრობლემებთან, იმპულსურობასთან და ჰიპერაქტიურობასთან. ამ ქმედებებს აძლიერებს ავტოსტიმულაციის საჭიროება (ხმების გამოცემა, კვილის, კაკუნის და ა.შ.). ამიტომ გაკვეთილის მიმდინარეობისას მათ უჭირთ ერთ ადგილას დიდ ხანს გაჩერება, ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან საკლასო ოთახში, ისე რომ არ აქცევენ ყურადღებას არც მასწავლებელს და არც მოსწავლეებს, შეუძლიათ სკამზე ქანაობა, კალმის წვალევა/ჩხაკუნი, სკამზე ხელის გულებით დაკვრა, უცნაური ხმების გამოცემა.

აუტისტი ბავშვები ექვემდებარებიან ფსიქიკური ხასიათის მქონე ეპიზოდებს - ავტოაგრესიული/თვითაგრესიული ყოფაქცევა, დეპრესია, ფსიქოზური ქცევა. დეპრესია და თვითაგრესია შეიძლება გაძლიერდეს მაგ. სკოლაში წარუმატებლობასთან დაკავშირებით, თანატოლთა ჯგუფში ან თუნდაც ოჯახში მიუღებლობით. აუტისტი ბავშვები საკუთარი არასტაბილური ემოციურობის გამო ხშირად ვარდებიან მსგავს სიტუაციებში.

იმის გამო რომ, აუტიზმი დარღვევათა მთელ სპექტრს წარმოადგენს, ძალიან ხშირად რთულია, თუნდაც გამოცდილი სპეციალისტებისთვის მისი დიაგნოსტიკა. თუ ჩვენს ბავშვში აუტიზმის დამახასიათებელ ნიშნებს შევნიშნავთ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის დაავადებულია. მეორე მხრივ, ჩვენ შეიძლება ადეკვატურად ვერ შევაფასოთ აუტისტური ქცევები, და მივაკუთვნოთ ისინი ბავშვის ხასიათს, ჩვენს აღმზრდელობით შეცდომებს, ბავშვის განვითარების ფართე ნორმებს მისი ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპებზე (მაგ. მეტყველების არარსებობა 3 წლის ასაკამდე) და სხვა მიზეზებს. ამიტომ, აუტიზმის ამოცნობის დროს, მნიშვნელოვანია დავაბალანსოთ ყველა ეს ელემენტი და დავიცვათ ოქროს შუალედის პრინციპი. რაც შეეხება სპეციალისტების დახმარებას - საჭიროა ისეთ ადამიანს მივმართოთ, რომელიც

არის აუტიზმის საკითხის პრაქტიკოსი და არ იცის ამ დაავადების შესახებ მხოლოდ დამხმარე მასალიდან, ასევე უნდა ჰქონდეს პირადი პროფესიული გამოცდილება. იქიდან გამომდინარე რომ, აუტიზმი დარღვევათა მთელ სპექტრს წარმოადგენს მისი დიაგნოზით არა ერთი სპეციალისტი, არამედ მთელი ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაშიც იქნება სულ მცირე ერთი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და/ან ნევროლოგი. დიაგნოზი არ უნდა იყოს დაფუძნებული მხოლოდ მშობელთან დიალოგზე, არამედ სპეციალისტები უშუალოდ უნდა დააკვირდნენ ბავშვის ყოფაქცევას მრავალჯერადი შეხვედრების დროს. მშობლებმა ყველაზე კარგად იციან, რომ მათი შვილი ერთ მომენტში შეიძლება ყველა საზოგადოებრივი ნორმის შესაბამისად მოიქცეს, მეორე მომენტში კი ნერვულ, აგრესიულ ან ჩაკეტილ ადამიანად იქცეს, რომელთანაც შეუძლებელია ნებისმიერი რაციონალური კონტაქტის დამყარება. ამიტომ, თვითონ გამოკვლევა უნდა შედგებოდეს სპეციალისტის ბავშვთან შეხვედრების ციკლისგან, რა დროსაც შესაძლებელი იქნება პაციენტის ქცევის დაკვირვება სხვადასხვა სიტუაციაში.

აუტიზმის დიაგნოსტიკის კრიტერიუმები:
იმისათვის რომ ბავშვს აუტიზმი დაუდგინდეს მას უნდა აღენიშნებოდეს **დარღვევები საჯარო კომუნიკაციაში:**

- ბავშვი არასწორად აღიქვამს სხეულის ენას/ქესტებს, მიმიკას, მოძრაობებს, მხედველობით კონტაქტს სხვა ადამიანთან საუბრის დროს;
- ბავშვი ვერ ახერხებს სწორი ურთიერთობის დამყარებას და შენარჩუნებას თანატოლებთან;
 - ბავშვს არ შეუძლია სწორი ემოციების გამოხატვა, ასევე საზოგადოებრივი ურთიერთობების გაგება უჭირს;
- ბავშვს არ აქვს სურვილი და მოთხოვნილება სხვას გაუზიაროს თავისი სიხარული, აღმოჩენები.
 - არ მეტყველებს, და თუ მაინც დაიწყო მეტყველება მას ძალიან სტერეოტიპულად იყენებს, ძალიან ხელოვნურად, მისი მეტყველება ხშირად სამეცნიერო ანგარიშს უფრო გავს, ვიდრე საუბარს.
- არ ცდილობს ვინმეს გაჯავრებას/მიზაძვას, არ ცდილობს იყოს სპონტანური და განსხვავებულად მოიქცეს.

სტერეოტიპული, შეზღუდული, განმეორებადი ქცევები:

- ხისტი დაინტერესება ერთი კონკრეტული სფეროთი, მოქმედებით (ვნება)
- ხისტი, გაცვეთილი რუტინები, შაბლონური მოქმედებები (მაგ. ტანსაცმლის ჩაცმა ერთსა და იმავე თანმიმდევრობით).
 - მოძრაობათა განმეორებადი მანერები (მაგ. თითების კაკუნის, ტიკები).
 - ობიექტების დეტალებით მუდმივი დაინტერესება.

არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ზეწოლის ასპექტი. ბევრმა ადამიანმა ჩვენი გარემოცვიდან (ოჯახი, მასწავლებლები, მეზობლები) შეიძლება არასწორი შეფასება გააკეთოს შემდეგი განმარტებით 'ეს ბავშვი ახლა ასეთია, რომ გაიზრდება შეიცვლება' ან 'დღეს აუტიზმი და დისლექსია მოდაშია'. ამას ემატება მშობლების შიში დიაგნოზის დასმის წინ (მე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი მყავს) და საზოგადოების ზეწოლა, რაც ამისგან გამომდინარეობს. ყოველთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ბავშვის კეთილდღეობა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, და არა ჩვენი ფსიქიკური კომფორტი, თუ საზოგადოების აზრი. ამიტომ მნიშვნელოვანია აუტიზმის დიაგნოზი ბავშვს რაც შეიძლება ადრე დაუდგინდეს, რათა მას დროული დახმარება აღმოუჩინონ სპეციალისტებმა, რაც შესაძლებელია სახელმწიფო სისტემის ფარგლებში (ექიმები, თერაპია, საგანმანათლებლო შედეგები უნარშეზღუდული ბავშვებისთვის, საჯარო დახმარება, საგანმანათლებლო სუბსიდიები და სხვა), ვიდრე დავტოვოთ ბავშვი ყურადღების გარეშე. თუმცა ყველა მშობელმა თვითონ უნდა გააანალიზოს სიტუაცია და მიიღოს გადაწყვეტილება.

როგორ დავეხმაროთ აუტიზმის მქონე ბავშვებს?

აუტიზმის სპექტრის დარღვევების შემთხვევაში ადამიანს ექმნება სერიოზული პრობლემები საზოგადოებაში ფუნქციონირების დროს, ასევე სამსახურში და ა.შ. თერაპიის და დახმარების მთელი სპექტრი არსებობს, რათა აუტიზმის მქონე ადამიანებმა თავისუფლად იგრძნონ თავი არსებულ რეალობაში, ეს ძირითადად მოიცავს საზოგადოებრივი ნორმების და წესების შესწავლას.

საზოგადოებრივი უნარ-ჩვევების ტრენინგი: წარმოადგენს აუტიზმით დაავადებული ადამიანების თერაპიის საფუძველს. საზოგადოებრივი ურთიერთობების განსავითარებელი თერაპიები მიმართულია იმაზე, რომ ბავშვს შეეძლოს საზოგადოებრივი ნორმების და ურთიერთობების გაგება. ეს მოიცავს სხვადასხვა როლების შესრულებას, დისკუსიებს ჯგუფში და სწორი ქცევების მოდელირებას. ისინი კონცენტრირებული არიან საზოგადოებრივი ქცევების შესწავლაზე, პრობლემების გადაწყვეტაზე და თანატოლთა შორის ურთიერთობების განვითარება. ასეთი ტიპის მეცადინეობების დროს გამოიყენება სხვადასხვა საზოგადოებრივი ქცევის (სიტუაციის) მოდელი, როლური თამაში ხშირად მეტად რთული და რეალური (მნიშვნელოვანია ისეთი სიტუაციების შერჩევა, რომლებიც მართლა მოხდა). ბავშვებს შეუძლიათ ეს ნახონ, ისაუბრონ საკუთარ ემოციებზე, გამოიტანონ დასკვნები. საზოგადოებრივი უნარჩვევების ტრენინგის დროს ბავშვები საზოგადოებაში ფუნქციონირების ძირითად უნარებს ითვისებენ - მათი დარღვევების სიმძიმის შესაბამისად. მაგალითისთვის ეს შეიძლება იყოს მისალმების ხერხები, რეაქციები თანატოლთა ცუდ ყოფაქცევაზე, გასაუბრების

ჩატარების ხერხები, საყიდლების შექმნა მარკეტში, მოქცევა ავტობუსში, მაგრამ ასევე სტრესულ სიტუაციებში გამოსავლის მოძებნა, აგრესიასთან გამკლავება, დახმარების თხოვნა სხვა ადამიანებისთვის და ა.შ. ეს თერაპიის საკმაოდ მარტივ ხერხს წარმოადგენს, თუმცა არ არის სრულყოფილი, შეუძლებელია ყველა საჯარო სიტუაციისთვის საჭირო ქცევის შესწავლა, რომელთა მრავალფეროვნება შეუზღუდავია. ასეთი ტიპის მეცადინეობებში მონაწილეობას იღებს ადამიანთა ჯგუფი თერაპევტთან ერთად (შეიძლება რამდენიმე თერაპევტმა ერთდროულად იმუშაოს). მნიშვნელოვანია ამ მეცადინეობებს სისტემური ხასიათი ჰქონდეს, რადგან ბავშვის განვითარებასთან ერთად სულ ახალი სიტუაციების განხილვა ხდება, რაც ხელს უწყობს მას აღზრდის პროცესში. პრაქტიკულად, ბავშვი ასეთ მეცადინეობებში რეგულარულად უნდა მონაწილეობდეს.

აუტისტების დიდი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ ესმით როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ემოციები, და ხშირად ემოციების არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ. ამ ადამიანებს არ ესმით რა ხდება მათ თავს, რატომ არიან ისინი გაბრაზებულები, მოწყენილები, ბედნიერები თუ კმაყოფილები. არ შეუძლიათ, ასევე, ეს ემოციები ამოიკითხონ სხვებში და სწორად აღიქვან ისინი. ამას კი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროს გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ხშირად თერაპიას ექვემდებარებიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც აქვთ პრობლემები სხვადასხვა ემოციებთან და საჭიროებენ საკუთარი თვითშეფასების უნარის გაძლიერებას. თერაპიის კურსი მათთვის სახალისო თამაშს უნდა წარმოადგენდეს. თერაპიები რომლებიც სხვადასხვა ემოციურ უნარჩვევას აწვდიან დაფუძნებულია როგორც საკუთარი, ასევე სხვისი ემოციების ამოცნობაზე, ემოციასა და ქცევას შორის არსებული კავშირის გაგებაზე, ასევე ემოციების მართვაზე. მონაწილეები სწავლობენ საზოგადოებაში მისაღები ფორმით გრძნობების გამოხატვას, კონსტრუქტიულ აზროვნებას, ასევე მუშაობენ თვითშეფასების ამაღლებაზე.

თერაპევტები ერთდროულად მუშაობენ როგორც ბავშვებთან, ასევე მათ მშობლებთან, რათა მათ ისწავლონ შვილების რთულ ქცევაზე. სწორი რეაგირება და ამავე დროს ასწავლონ ბავშვებს სწორი ქცევა მათ შორის, სიბრაზის მოთოკვა, დამანგრეველი და ავტოაგრესიული (აგრესია საკუთარი თავის მიმართ) ქცევის შეჩერება. აუცილებელია საკუთარი თავის კონტროლის ჩამოყალიბება. ვასწავლით ბავშვს რომ დაემორჩილოს და დაიცვას წესები. თერაპევტები ასევე ასწავლიან გრძნობების კომუნიკაციას - მაგ. სხვა ადამიანებისთვის კითხვების დასმა მათი გრძნობების შესახებ.

ვერბალური კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობის საფუძველს. აუტისტებმა, მათი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით შეიძლება საერთოდ არ საუბრობდნენ, ან პირიქით ძალიან გამართულად ფლობდნენ ენას. მიუხედავად ამისა, მათ მაინც ექმნებათ საერთო სირთულეები,

დაკავშირებული მეტყველების აპარატის დისფუნქციასთან ან ენის გაუგებრობის გამო. იმისათვის, რომ მეტყველების განსავითარებელ თერაპიას დადებითი შედეგები ჰქონდეს, იგი უნდა ხორციელდებოდეს კვირაში 40 საათის განმავლობაში და ეს პერიოდი მინიმუმ 2 წელს უნდა გაგრძელდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი უკვე კარგად მეტყველებს, თერაპევტების ამოცანაა მას მეტაფორების, ამოცანების, გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამების გაგება/გააზრება ასწავლონ. ხოლო მომდევნო ეტაპს წარმოადგენს უკვე ბავშვისთვის გამართული და გარკვეული მეტყველების სწავლება.

იმ ბავშვებს, რომლებიც არ მეტყველებენ კომუნიკაციის სხვა სისტემებს ასწავლიან (მაგ. პიქტოგრამების გამოყენება, რომლებზეც გარკვეული ქმედებების შესრულებაა ასახული)

დამატებით შეიძლება შემეცნებითი ფუნქციების, ასევე სკოლაში საჭირო უნარჩვევების: (კითხვა, წერა, ანგარიში) განვითარება. მნიშვნელოვანია სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნა - კითხვის სიყვარული, დახმარება ყურადღების კონცენტრაციის გამომუშავებაში, დახმარება ამოცანების ამოხსნაში, სასწავლო პროცესში ჩართვა. ეს შესაძლებელია, სახალისო თამაშებით და სხვადასხვა აქტივობებით.

ფარმაკოთერაპია - აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ ნევროლოგიური და ჰორმონალური დარღვევები. ამ დროს სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ფარმაკოთერაპია, რომელმაც შეიძლება შეავსოს დეფიციტი. ჰორმონების და ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობაში სამწუხაროდ აუტისტებს ხშირად ენიშნებათ ძლიერი ფსიქოტროპული წამლები, ამიტომ მათი მიღების დროს მნიშვნელოვანია მთლიანად ორგანიზმის ფუნქციონირების გაკონტროლება და დაკვირვება. წამლების დანიშვნა და მათი მიღება საკმაოდ შრომატევადი პროცესია - ეს უნდა გაკეთდეს ექიმთან, ნევროლოგთან ან ფსიქიატრთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. საჭიროა ბავშვის მდგომარეობის გამოკვლევა, რადგან ადვილად ვარდება დეპრესიაში თავისი წარუმატებლობების ან თანატოლებთან საერთო ენის გამონახვის სირთულეების გამო, ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს მასწავლებლებთან ან ოჯახის წევრებთან დამაბული ურთიერთობა (რთული ყოფაქცევა). საჭიროების შემთხვევაში უნდა მიმართოთ ექიმს.

საჭირო დიეტა. კონსერვანტები, რომლებიც გავრცელებულია საკვებ პროდუქტებში, მაგრამ თუნდაც რომელიმე პროდუქტს არ ქონდეს გავლენა აუტიზმზე, მაინც შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს აუტისტური ქცევის გამძაფრებაზე. პირველი ელემენტი, რომელიც უნდა ამოვიღოთ, ან მაქსიმალურად შევამციროთ მაინც ბავშვის რაციონიდან ეს არის შაქარი. შაქარს ამღვანები თვისებები აქვს, თუმცა აუტისტური სპექტრის დარღვევების დროს სრულად აკრძალული არ არის. უბრალოდ არ შეიძლება ბევრი ტკბილეულის

თუ სხვა ტკბილი კერძების მიღება. ბევრი ადამიანი, რომლებმაც უშაქრო დიეტა დაიცვეს, უფრო გაწონასწორებულები გახდნენ და ამას მართლაც დადებითი შედეგი ჰქონდა. უშაქრო დიეტა გულისხმობს მოხმარებიდან ტკბილი სასმელების ამოღებას, იქნება ეს უბრალო წვენიები თუ გაზიანი სასმელები, რომლებიც შეიცავენ კოფეინს ან მსგავს სუბსტანციებს, მაგალითად: კოკა-კოლა. არ არის აკრძალული ენერგეტიკული სასმელების მიღება.

შემდეგი დიეტა, რომელიც შეიძლება დანიშნოს, ეს არის გლუტენის ან რძის პროდუქტების ამოღება. დიეტები უნდა ატარებდნენ სისტემატიურ ხასიათს და ინიშნებოდნენ თანმიმდევრულად, ყველა დიეტის დაცვა ერთდროულად არ არის მიზანშეწონილი, რადგან ყოველი დიეტის დროს მნიშვნელოვანია დაკვირვება, თუ რომელი გამოიღებს მეტად დადებით შედეგს. რაც შეეხება დიეტებს, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ნერვულ სისტემაზე მეტად ნეგატიურ გავლენას ახდენს კონსერვანტები და საღებავები, განსაკუთრებით კი კონსერვანტები E ჯგუფიდან (E220 და სხვა). სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ საკვებ დანამატებზე ზედმეტ მგრძობელობას იწვევს: აზო და სხვა საღებავები, ნატრიუმის გლუტამატი, კონსერვანტები, პარაბენები და სულფატები. ამიტომ საკვები პროდუქტების არჩევის დროს, მნიშვნელოვანია მეტად ნატურალური პროდუქტები შევარჩიოთ, განსაკუთრებით თუ ოჯახში არის აუტიზმის მქონე წევრი.

კარგი შედეგები მოაქვს დიეტასთან ერთად Iომეგა 3 მიღება, ცნობილი როგორც თევზის ქონი. დღევანდელ ბაზარზე არის ხელმისაწვდომი როგორც კაპსულების ასევე სიროფის სახით. თევზის ქონის, ანუ Iომეგა 3 ხელს უწყობს ტვინის მუშაობას.

სენსორული ინტეგრაციის თერაპია - შეგრძნებების დარღვევების მკურნალობა შესაძლებელია სენსორული ინტეგრაციის სპეციალური ტრენინგის მეშვეობით. თუ სპეციალისტების დახმარების შესაძლებლობა არ არის, ამის გაკეთება სახლის პირობებშიც არის შესაძლებელი, ბავშვისთვის სტიმულაციის სპეციალური ხელსაწყოების უზრუნველყოფით:

- საქანელა - აუტიზმის მქონე ბავშვები ხშირად კარგად მშვიდდებიან ქანაობის დროს - ეს შეიძლება უბრალო თოკი იყოს ხეზე ჩამობმული
- დასამშვიდებელი განმარტოებული ადგილი - ეს შეიძლება იყოს მაგ. მოზრდლი მუყაოს ყუთი, რომელშიც ბავშვს დამალვა შეუძლია, სადაც იგი თავს უსაფრთხოდ იგრძნობს (ესეთი ყუთი შეგიძლიათ შეღებოთ და გააკეთოთ მისგან სახლი, ციხესიმაგრე ან სხვა რამ)
- ბავშვის საბანში მჭიდროდ გახვევა
- მასაჟის გაკეთება, დაფხანა, დაზელვა და ა.შ.
- ფეხშიშველი სიარული
- არასწორი ზედაპირის მქონე რეზინის ბურთების დაზელვა/დასრესა

- გემოვნებიანი მუსიკის მოსმენა ყურსასმენებით (მნიშვნელოვანია კარგი რეპერტუარის შერჩევა)

ავტოსტიმულაციები - გარშემომყოფების გამაღიზიანებელი ავტოსტიმულაციების - მაგ. ხმების გამოცემა, კაკუნი, საწერი კალმის წკაპუნი - შეცვლა გარშემომყოფათვის არაგამაღიზიანებელი სტიმულატორებით - მაგ. სასრესი რეზინის ბურთები, ბუქნების კეთება და სხვა.

ბავშვის დამშვიდება - განსაკუთრებით რთულ სიტუაციებში მაგ. სკოლაში ბავშვის განრიდება სტიმულატორისგან, რომელიც მას აღიზიანებს. მაგ. მშვიდ ოთახში გადაყვანა ხმაურიანი დერეფნიდან - მაგ. შესვენებებზე სასკოლო ბიბლიოთეკაში შესვლა. მივცეთ ბავშვს შესაძლებლობა გაერიდოს გამაღიზიანებელს - მაგ. ხმაურის დამხშობი ყურსასმენების გაკეთება, როგორცაე იყენებენ პნევმატურ ჩაქუჩებთან მომუშავე მუშები.

ფიზიკური აქტივობა - მნიშვნელოვანია უზრუნველყოთ აქტივობები აუტისტებისთვის, რომლებიც მათ დალლით და დამატებითი სტიმულაციის გამოძწვევი იქნება. ეს შეიძლება იყოს სპორტის შემდეგი სახეობები:

- ცურვა
- კედელზე ცოცვა
- სპორტული აქტივობის სხვა ფორმები

ყოველდღიური გეგმების შედგენა - მნიშვნელოვანია ბავშვს წარუდგინოთ მთელი დღის გეგმა თავისი კონკრეტული დავალებებით და დროით. მაშინ როდესაც ბავშვი მხედველობით კომუნიკაციას ახდენს, ამის გაკეთება პიქტოგრამების (სიმბოლური სურათები) გამოყენებით შეიძლება. გეგმაში ყოველი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ბავშვს რაც შეიძლება მალე უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, რათა მან შეძლოს ამას შეეგუოს. გეგმის შეცვლასთან დაკავშირებული სიტუაცია ხშირად სტრესული და მოულოდნელია მშობელისთვისაც. თუ ამას აუტიზმის მქონე ბავშვის სტრესსაც დავუმატებთ, რომელიც ამაში იღებს მონაწილეობას, სიტუაცია შეიძლება მნიშვნელოვნად დაიძაბოს. ამიტომ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კარგად მოვექცეთ ბავშვს, რომელიც ისედაც განიცდის დღის გეგმაში მომხდარი ცვლილებების გამო .

აღმზრდელობითი გეგმები - დაჯილდოების სიტემა. აუტისტების შემთხვევაში პოზიტიური შედეგების წახალისება - დაჯილდოების სისტემა. დასჯის სისტემას ხშირად დადებითი შედეგები არ მოაქვს. განუმარტოთ ბავშვს კონკრეტული საქმე რომელზეც ის იმუშავეს - მაგ. არ ადგე გაკვეთილის დროს. ჩამოწეროთ წესები და დადოთ სავაჭრო ხელშეკრულების მსგავსი შეთანხმება, სადაც ჯილდოების მიღების წესები იქნება გაწერილი. ამისათვის საჭიროა კარგი შეფასების სისტემის შექმნა (თანამშრომლობა მასწავლებლებთან, რათა

ყოველ გაკვეთილზე ჩაწერონ ნიშნები). ამ მოქმედებაში თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ. კონტრაქტი უნდა იყოს სწორად შედგენილი და ხელმოწერილი, რათა შესაძლებელი იყოს მისი შემდეგში გამოყენება. მშობელს არ აქვს უფლება კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა - დადგენილი წესების დამორჩილება წარმოადგენს აუტისტთან ურთიერთობის საფუძველს.

რთული ყოფაქცევის გამოსწორება - აუტისტ ბავშვს ბევრი რთული ქცევა ახასიათებს - აგრესია, საჯარო ადგილებში არაადეკვატური ქცევა და ა.შ. ასეთი სიტუაციები მშობლის ბუნებრივ სიბრაზეს იწვევს. **აუტისტი ბავშვის თანდასწრებით უნდა ვიყოთ ცივისსხლიანები და შევეცადოთ სიტუაციის დამშვიდება/გამოსწორებას.** გადავიტანოთ მისი ფიქრები სხვა თემაზე, ვეძებოთ გამოსავალი, რომელიც ორივე მხარესთვის იქნება მისაღები. უკეთესია, თუ აქაც თანმიმდევრულები ვიქნებით. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოდის ცუდი ემოციების დაბალანსება/შემცირება, უბრალოდ არ ვინერვიულოთ ზედმეტად, რადგან ეს მეტად გაართულებს სიტუაციას. რთულ მომენტებში მოვიცადოთ, რომ ბავშვი თავისით დამშვიდდეს, შევეცადოთ მოვუძებნოთ განმარტოებული და მშვიდი ადგილი.

თანამშრომლობა სკოლასთან და თერაპევტებთან - სკოლასთან და თერაპევტებთან მუდმივი კონტაქტის დამყარება და ინფორმაციის მიღება ბავშვის ცუდი ყოფაქცევის შესახებ, რათა ამაზე რეაგირება რაც შეიძლება დროული იყოს. აუტიზმის მქონე ბავშვებს, ხშირად არ ახსოვთ რა მოხდა, როდესაც ისინი უკიდურესად აგზნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სკოლის კოლექტივთან ერთად შეადგინოთ საერთო აღმზრდელი გეგმა დაჯილდოების სისტემის და სხვა ელემენტების გათვალისწინებით, მუდმივი მუშაობისთვის ბავშვის კონკრეტული ქცევის გამოსასწორებლად. **ყოველთვის ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული ქმედებებით. დავასახელოთ ქცევები.** მიუღებელია მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება ბავშვის დღიურის გზით, სადაც მსგავსი ჩანაწერი შეიძლება იყოს: 'მოსწავლე ცუდად იქცეოდა სკოლაში'. ინფორმაცია რაც შეიძლება მეტ დეტალს უნდა მოიცავდეს, რადგან აუტისტი ბავშვი მომხდარი ფაქტების არასწორ ინტერპრეტირებას ახდენს. ჩანაწერი უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად: 'დიდი შესვენების დროს მივიდა თავის კლასელ ლიკა ლაპიაშვილთან და ხელიდან მობილური ტელეფონი გამოგლიჯა. ხოლო როდესაც ლიკამ სცადა იგი დაებრუნებინა ძირს დააგდო და ტელეფონი დაზიანდა'. სამწუხაროდ ეს მასწავლებლის მხრიდან დიდ ჩართულობას მოითხოვს, მაგრამ შესაძლებელს ხდის სიმართლის მოძიებას და შეთანხმებების აღსრულებას. კონკრეტული რთული სიტუაციები შეიძლება შემდგომ განხილული და აღდგენილი იყოს თერაპიის დროს.

მშობელთა თერაპია - მშობლის განწყობის ამაღლება ეს არის მისი შვილის თერაპიის ერთერთი წარმატება. მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა შეასრულოს კონკრეტული დავალებები, რომლებიც მას დაეხმარება სტრესის მოხსნაში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის მოვლა თავისთავად რთულია, ამისთვის სასურველია საკუთარი ემოციების მართვის ტრენინგში მიიღონ მონაწილეობა, რაც ასევე დაეხმარებათ მათ დანაშაულის გრძობისგან განთავისუფლებაში. ყველა ქმედება, რომელიც მიმართულია მშობელს და ბავშვს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, ოჯახში ინტერაქციის ამაღლებაზე და ოჯახური ტრადიციების შენარჩუნებაზე არის მნიშვნელოვანი და მისაბამი.

აუტიზმის პლიუსები

აუტისტის ტვინის სხვანაირი აგებულება და მეტად გამძაფრებული სენსორული მგრძობელობა შეიძლება ზოგჯერ მნიშვნელოვან კოზირს წარმოადგენდეს. აუტისტები ხშირად მძაფრი, დეტალური და წარმოუდგენელი ფოტოგრაფიული მეხსიერებით გამოირჩევიან - იმახსოვრებენ უფრო სწრაფად და უფრო მეტს, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანი. მათი მგრძობელობა გემოზე და სუნზე აძლევს მათ ახალი აქტივობების შესაძლებლობას, მაგალითად მათგან გამოდიან ყავის, ღვინის თუ სხვა პროდუქტების. კარგი დეგუსტატორები, სმენითი მგრძობელობის წყალობით, მათ ახასიათებთ საშუალოზე უფრო მაღალი დონის მუსიკალური ნიჭი, რაც მათი უზარმაზარი მეხსიერების და გამეორების უნარის შედეგად დამატებითი სარგებელის მომტანი ხდება.

აუტისტები ძალიან ზუსტები და პუნქტუალურები არიან - ამიტომ ძალიან კარგად ასრულებენ საკუთარ სამუშაოს, ექვემდებარებიან ფირმაში მიღებულ წესებს და მოთხოვნებს, კარგად იღებენ სავალდებულო სქემებს.

აუტისტები ხშირად კარგი ბუღალტრები და ინფორმატიკოსები არიან. ასევე კარგად ასრულებენ სამხედრო სამსახურს, სადაც გავრცელებულია განსაზღვრული იერარქია და პროცედურები.

მათი აღფრთოვანება მეცნიერების რაიმე კონკრეტული სფეროთი, უზრუნველყოფს, რომ ისინი რაიმე ვიწრო დარგის მოყვარულები ხდებიან - შემდეგ კი კითხულობენ ამ საგანს სკოლაში ან უნივერსიტეტში.

პროექტის კოორდინატორი:
აგნიეშკა ჯარმაგა-ჩაიკოვსკა
პროექტის გრაფიკა
და აწყობა:
აგნიეშკა კუბიცა

ვარშავა 2015



Przemiany w regionie

პროექტი დაფინანსებულია დემოკრატიული განათლების ფუნდაციის პროგრამის „გარდაქმნები რეგიონში“- ღთ თავისუფლება პოლონურ-ამერიკული ფუნდაციის მიერ.



Fundacja Edukacji Międzykulturowej